პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 12 ნოემბერი, 1944 წ. № 228 (7181). ფასი 20 კაპ.

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერელთა მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე.

ი. სტალინი

ᲕᲐᲛᲐᲠᲯᲕᲚᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲔᲑᲘ

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებასა და ბრძანებას. ამ ისტორიულმა დოკუმენტებმა სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსეს ყველა საბჭოთა პატრიოტის გული.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ **სამხედრო გამარჯვება** მოვიპოვეთ მტერზე, რომ გმირმა წითელმა არმიამ პირისპირ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში დაამარცხა ფაშისტთა არმია, განდევნა ის ჩვენი სამშობლოს წმიდათა წმიდა საზღვრებიდან და ახლა ბრძოლას აწარმოებს მტრის ტერიტორიაზე.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ **ეკონომიური გამარჯვება** მოვიპოვეთ მტერზე, რომ საბჭოთა ზურგის მშრომელებმა შეიარაღეს წითელი არმია პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკით, მისცეს მას ყველაფერი, რაც აუცილებელია ვერაგი მტრის განადგურებისათვის.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სრული **იდეოლოგიური გამარჯვება** მოვიპოვეთ მტერზე, რომ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებულმა ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ, ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის იდეოლოგიამ გაიმარჯვა ჰიტლერული მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში დიადი ისტორიული როლი შეასრულა.

„ახლა ყველა აღიარებს, — ამბობს ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში, — **რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევრთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე“.**

ბელადის ეს სიტყვები საბჭოთა ადამიანების ბრძოლასა და შრომას ახალ, უფრო ღრმა, უფრო მდიდარ შინაარსს აძლევენ.

აღფრთოვანებულნი საბჭოთა ხალხის ისტორიული როლის ამ შეფასებით, ჩვენი მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავიანთ მიტინგებსა და კრებებზე ახალ ვალდებულებებს კისრულობენ, ფიცსა სდებენ ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა სამშობლოს, დიდი **სტალინის** წინაშე, რომ მეტი ენერგიით, მეტი ნაყოფიერებით იმუშავებენ ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად, მტერზე საბოლოო გამარჯვების მოპოვებისათვის.

ისევე როგორც ყველგან, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებშიც უმაგალითო პატრიოტული აღმავლობაა. საქართველოს მშრომელები სიტყვას იძლევიან ამრავლონ საბჭოთა ზურგის მიღწევები, განამტკიცონ საოქტომბრო შეჯიბრების პერიოდში მიღწეული წარმატებანი, სასახელოთ დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი და მომზადებული შეხვდნენ ახალ წელს.

საქართველოს მეშახტეები პირობას სდებენ მეტი ნახშირი, მეტი მარგანეცი მისცენ სამშობლოს. ტყიბულელმა მეშახტემ უბნის უფროსმა გ. გორგაძემ ვალდებულება იკისრა ნოემბერსა და დეკემბერში 2.000 ტონა ქვანახშირი ამოიღოს გეგმის გადამეტებით. სიტყვას საქმეც მოჰყვა: 9 ნოემბერს გორგაძის უბნის მეშახტეებმა გეგმით გათვალისწინებულ 90 ტონის ნაცვლად 170 ტონა ქვანახშირი ამოიღეს. ჭიათურელმა მემაღაროემ ამწმენდმა ა. გათრინოაშვილმა, რომელმაც წლიური გეგმა უკვე შეასრულა, ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე 1.500 ტონა მარგანეცი ამოიღოს და ამ ვალდებულებას იგი წარმატებით ასრულებს.

საქართველოს მეტალურგები, მანქანათმშენებლები პირობას სდებენ მეტი ლითონი გამოადნონ, მეტი მანქანები და მოწყობილობა მისცენ ფრონტსა და სამშობლოს. თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 1 დეკემბრამდე, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 10 პროცენტით, თვითღირებულება შეამციროს ორნახევარი პროცენტით და წლის ბოლომდე მოზოგოს 20 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

საქართველოს რკინიგზელები პირობას სდებენ სავსებით მომზადებული შეხვდნენ ზამთარს, მთლიანად დააკმაყოფილონ ფრონტისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებანი. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალთაგარნსარემონტო ქარხნის მუშებმა იკისრეს რამდენიმე ორთქლმავალი გამოუშვან გეგმის გადამეტებით, მომამზადონ ახალი კადრები, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ზეინკლმა მ. დურგლიშვილმა მიტინგზე გეგმის 200 პროცენტით შესრულება იკისრა და მეორე დღესვე გეგმა 312 პროცენტით შეასრულა. ხაშურელმა მექანიკოსებმა 7 ნოემბერს საშუალო სადღეღამისო გარბენის გეგმა შეასრულეს 12 პროცენტის გადაჭარბებით, 8 ნოემბერს — 15 პროცენტის გადაჭარბებით.

საქართველოს კოლმეურნეები პირობას სდებენ, რომ უახლოეს დღეებში დაამთავრებენ საშემოდგომო ხვნა-თესვას, უდანაკარგოდ აიღებენ ციტრუსების უხვ მოსავალს, დროულად ჩაატარებენ საშემოდგომო საზამთრო სამუშაოებს ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, საუკეთესოდ მოემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის, წარმატებით დაამთავრებენ სამეურნეო წელს.

მთელი ქართველი ხალხი, ისევე როგორც დიდი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, გამსჭვალულია ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით — რაც შეიძლება მეტი გააკეთოს გმირი წითელი არმიის დასახმარებლად, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მასების მძლავრი პატრიოტული აღმავლობა ჩვენს წინაშე აყენებს ამოცანას — სათავეში ჩავუდგეთ მშრომელთა მზარდ აქტივობას, სწორად გავანაწილოთ ძალები, ვუჩვენოთ თვითეულს რით შეუძლია მას ასახელოს სამშობლო. ბელადის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება პარტიული და სამეურნეო მუშაკებისაგან მოითხოვს ხელმძღვანელობის გაძლიერებას, მასობრივ პოლიტიკური მუშაობის უფრო ფართოდ გაშლას, სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო გაღრმავებას.

ახლოა მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების ბრწყინვალე დღე. წითელ არმიას ახლა დარჩა საბოლოო მისია: **„ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აფრიალოს ბერლინში“** (ი. სტალინი).

ამ მისიას წითელი არმია შეასრულებს მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი დახმარებით, უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ!

ᲛᲔᲝᲠᲗᲥᲛᲐᲕᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲦᲣᲖᲘ

სადღესასწაულო განწყობილებაა თბილისის საორთქლმავლო დეპოს, საამქროებში. ამ დღეებში არ დარჩენილა ისეთი მუშა, რომელიც არ ასრულებდეს დავალებას, ითბილ სტახანოველი კი ნორმებს ერთიორად და ერთისამად აჭარბებს.

9 ნოემბერს ხარატმა ამხ. ა. ტატიშვილმა თითქმის ოთხი ნორმა კამოიმუშავა, ზეინკალმა ამხ. ვ. კოვალიოვმა გეგმა 350 პროცენტით შეასრულა. ორმაგად და უფრო მეტად შეასრულეს დღიური დავალება ხარატებმა ო. მახმიშვილმა, ვ. კალუსოვსკიმ, ი. ტატიშვილმა, ზეინკლებმა მ. ნიკოლაიშვილმა, ნ. პაპაშვილმა, ფ. ხარებავამ, მ. ეუკოვმა, მჭედლებმა ნ. ასლამაზიშვილმა მ. ინჯიაშვილმა, ი. ბერიაშვილმა.

დაძაბული, სტახანოვური შრომის შემდეგ, 5 საათზე ქარხნის კლუბში გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. ლუარსაბოვმა.

დიდი აყრადღებით ისმენდნენ მიტინგზე შეკრებილნი მშობლიური სტალინის საოქტომბრო მოხსენებასა და საოქტომბრო ბრძანებას.

ტრიბუნაზეა დამამზადებელი საამქროს უფროსი ამხ. ი. ბახტაძე.

— ფრონტის ხაზი მარტოოდენ ბრძოლის ველებზე როდი გადის,—განაცხადა ამხ. ბახტაძემ,—იგი გადის აქ, ჩვენთან, დეპოშიც — ყოველ დაზგასთან, ყოველ გრდემლთან, ყოველ ქურასთან. და ჩვენც მოვალენი ვართ ვიმუშაოთ ფრონტულად, ვიმუშაოთ ისე გმირულად, როგორც იბრძვიან ფრონტზე ჩვენი სახელოვანი მეომრები. ჩვენი საამქრო პირობას იძლევა ვადამდე შეასრულოს თვიური გეგმა და ათიათასობით მანეთის პროდუქცია მისცეს ფრონტსა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით.

აწევითი რემონტის საამქროს უფროსმა ამხ. შ. ხიზანაშვილმა საამქროს კოლექტივის სახელით ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა ვადაზე 10 დღით ადრე შეასრულოს და აწევითი რემონტიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვას 2 ორთქლმავალი.

ახალი საბრძოლო ვალდებულებები იკისრეს თავიანთი ბრიგადების სახელით აგრეთვე საკომპლექსო ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. დ. ჭავჭანიძემ და სამსხმელო საამქროს ბრიგადირმა ამხ. გ. ლეშაშვილმა.

დიდი სტალინის მოხსენებისა და საოქტომბრო ბრძანების პასუხად დეპოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ნოემბერში გეგმის გადამეტებით აწევითი რემონტიდან გამოუშვას 2 ორთქლმავალი და გარეცხვითი რემონტიდან —10 ორთქლმავალი, 120 პროცენტით შეასრულოს თუჯისა და სპილენძის ჩამოსხმის გეგმა, 2 საათით გაზარდოს ორთქლმავალთა ტექნიკური სიჩქარე და გაანახევროს ავადმყოფ ორთქლმავალთა რიცხვი.

საამქროებსა და ბრიგადებში ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება. დეპოელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. ზეინკალმა მ. დურგლიშვილმა, რომელმაც 9 ნოემბერს მიტინგზე ორი ნორმის გადამუშავება იკისრა, მეორე დღესვე სათადარიგო ნაწილების დამზადებაზე გეგმა 312,7 პროცენტით შეასრულა. ვალდებულებას გადაჭარბა და ამ დღეს სამი ნორმა გამოიმუშავა აგრეთვე ზეინკალმა ამხ. გ. სოლოვიოვმა, რომელიც სპილენძის დეტალთა მოპირკეთებაზე მუშაობდა. ნაკისრ ვალდებულებაზე შესრულებაში აქ განსაკუთრებით გამოერჩევიან ზეინკლები ე. ბერიშვილი, ა. გეთიაშვილი, მ. ეუკოვი, მჭედლები ი. ბერიშვილი, ნ. ასლამაზიშვილი, ეროსაძეკლები ზ. უსენაშვილი და მძლეური, რომლებმაც დღიური დავალება 200-266 პროცენტით შეასრულეს.

პირნათლად ასრულებს ბელადის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად ნაკისრ ვალდებულებას დ. ჭავჭანიძის ახალგაზრდული კომკოლქსური ბრიგადა. კომკავშირელმა ზეინკლებმა ვალდებულება იკისრეს, ორთქლმავლის გარეცხვას ერთი საათით ნაკლებ დროს მოანდომებთ და ნოემბერში რემონტიდან გეგმის ზევით 5 ორთქლმავალს გამოუშვებთო. ფრონტული ბრიგადა უკვე მესამე დღეა მაღალნაყოფიერად მუშაობს და დღიურ დავალებებს ორმაგად და სამმაგად ასრულებს. ბრიგადაში მეომრის თავდადებით მუშაობენ ახალგაზრდა ზეინკლები ვ. კიკნაძე, ნ. ურუშაძე და გ. მირუაშვილი. ისინი ნიადაგ სამ ნორმას იძლევიან. ჭავჭანიძის ფრონტულ ბრიგადას არც პირველი კომპლექსური ბრიგადა ჩამორჩება. აქ ზეინკლებმა ზ. სტაროდუბოვმა, კ. ნიაზაშვილმა და ვ. საგეევმა 10 ნოემბერს ორთქლმავლის რემონტზე დავალება 230-250 პროცენტით შეასრულეს.

ახალ საწარმოო წარმატებას მიაღწია საინსტრუმენტო საამქროს კოლექტივმაც, რომელმაც 10 და 11 ნოემბერს დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. ამ დღეებში განსაკუთრებით დაწინაურდა მეინსტრუმენტე ამხ. ს. კოშორიძე, რომელიც დღიურად სამ ნორმას იძლევა, ხოლო ზეინკლები ვ. დეკშინი, გ. ტატუაშვილი და ზ. კასტაშოვი გეგმებს 210-275 პროცენტით ასრულებენ.

დეპოს კოლექტივი ომის დროის ტემპებით მუშაობს, რათა შეასრულოს ბელადისთვის მიცემული ფიცი და დამატებითი პროდუქცია მისცეს ფრონტსა და სამშობლოს.

ᲐᲦᲛᲐᲕᲪᲕᲚᲝᲑᲐ ᲬᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲐᲮᲬᲔᲑᲨᲘ

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ტყიბულელი მეშახტეები გულდასმით ეცნობიან ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას. 9 და 10 ნოემბერს ცვლების განაწილებისას შახტებში შესდგა ხალხმრავალი მიტინგები. მეშახტეებმა იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის.

სტალინის სახელობის შახტის მეხუთე უბნის უფროსმა გ. გორგაძემ იკისრა ნოემბერსა და დეკემბერში გეგმის გადამეტებით 2.000 ტონა ქვანახშირი ამოიღოს. გორგაძის უბნის ყველა ცვლა და მეშახტე ერთსულოვნად არის დარაზმული ამ საპატიო ვალდებულების გასანაღდებლად. დადგა რა სტახანოვურ-ვახტზე, 8 ნოემბერს ნიკიფორე დერგინის ცვლამ 160 პროცენტით შეასრულა საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით ამოიღო 12 ტონა ქვანახშირი. 9 ნოემბერს გ. გორგაძის უბნის მეშახტეებმა რეკორდი დამყარეს. 90 ტონის ნაცვლად ქვეყანას მისცეს 170 ტონა ქვანახშირი. მაღალნაყოფიერი შრომით უპასუხებენ დიდი ბელადის ისტორიულ მოხსენებას ამ შახტის მოწინავე ადამიანები: შ. ფურცხვანიძე, ი. ილიუშინი, ა. არსენიძე, დ. სუქნიძე და სხვ.

სტალინის სახელობის შახტის მე-8 უბნის უფროსმა სამთო ტექნიკოსმა ამხ. პ. ნანიკაშვილმა ბელადის მოწოდების პასუხად იკისრა 125 ტონის ნაცვლად სამშობლოს ყოველდღიურად მისცეს 140-150 ტონა ქვანახშირი. ნოემბერში გეგმის გადამეტებით 300 ტონა ქვანახშირის ამოღება იკისრა დ. დობორჯგინიძის კომკავშირულმა უბანმა. ამხ. ნანიკაშვილისა და დობორჯგინიძის უბნის მეშახტეები საქმით ანაღდებენ ახალ ვალდებულებებს.

ლენინის სახელობის შახტის მედალოსან სამთო ტექნიკოს ლ. ვაშაკიძის უბნის მეშახტეებმა სექტემბერსა და ოქტომბერში გეგმის გადამეტებით 1.187 ტონა ქვანახშირი ამოიღეს. უბნის კოლექტივმა იკისრა ნოემბერში 130 პროცენტით შეასრულოს ქვანახშირის ამოღების გეგმა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გ. ფანჩულაძის უბანი. ახლა ლ. ვაშაკიძისა და გ. ფანჩულაძის უბნები ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 30-40 ტონა ქვანახშირს იძლევიან.

ქვანახშირის ამოღების მძლავრი აღმავლობით უპასუხონ დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებას, ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა—აი რისთვის იბრძვიან ახლა ტყიბულელი მეშახტეები.

დ. ჭათამაძე

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ავტოსარემონტო ქარხანაში მუშები, ოსტატები, წარმოების მეთაურები, ინჟინერ-ტექნიკოსები დიდი ინტერესით ეცხობიან ბელადის ბრძნულ მოხსენებას—ბრძოლისა და შემოქმედებითი მუშაობის ნათელ პროგრამას.

— დადგა ფაშიზმის საბოლოო განადგურების ჟამი, მალე ჩვენი გმირული ბრძოლების დროშა აფრიალდება ბერლინში. წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებანი გვავალებს კიდევ უფრო გაავალიერეთ მუშაობა. მე ვალდებულებას ვკისრულობ ნოემბრისა და დეკემბრის დავალებები 250 პროცენტით შევასრულო,—სთქვა მიტინგზე მექანიკური საამქროს ხარატმა ამხ. ალ. ხომასურიძემ.

— პირნათლად შევასრულე საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ახალი საწარმოო საჩუქრებით შევხვდი დიდ დღესასწაულს. ახლა, დიდი ბელადის ბრძნული მოხსენებით აღფრთოვანებული, ვალდებულებას ვკისრულობ დღიური ნორმები მუდამ შევასრულო 250 პროცენტით—განაცხადა ზეინკალმა სარეევმა

— ომმა მჭევრმეტყველურად დაადასტურა, —აღნიშნა მეტალიზატორმა დ. შაპოვალოვამ, —სოციალისტური სახელმწიფოს უპირატესობა ფაშისტური გერმანიის წინაშე. ჩვენ დავამტკიცეთ მტერი არა მარტო ბრძოლის ფრონტზე, იგი წამოვაჩოქეთ ეკონომიურადაც, მტერი მოქცეულია ორი ფრონტის მარწუხში, მოახლოებულია მისი საბოლოო განადგურების ჟამი. ასეთ ვითარებაში ჩვენ მოვალენი ვართ უფრო მეტად დავეხმაროთ ფრონტს, მივცეთ გმირ წითელ არმიას ყველაფერი, რაც საჭიროა ფაშისტი მხეცის გასანადგურებლად მისსავე ბუნაგში.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ხარატმა ი. ადიმონოვმა, საამქროს ოსტატმა ვ. მიქაელიანმა და სხვ.

წლიური საწარმოო გეგმის 110 პროცენტით შესრულება, საწვავისა და ელექტროენერგიის მაქსიმალურად დაზოგვა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება,—აი რა ვალდებულება იკისრა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების პასუხად.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ!

Მ. Ი. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ, Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲢᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

იმასთან დაკავშირებით, რომ 11 ნოემბერს აღინიშნა პოლონეთის ეროვნული დღესასწაული — პოლონეთის დამოუკიდებლობის დღე, — ამხ. მ. ი. კალინინმა, ამხ. ი. ბ. სტალინმა და ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ბ-ნ ბოლესლავ ბერუტს და ბ-ნ ე. ოსუბკა-მორავსკის გაუგზავნეს ქვემოთ მოყვანილი დეპეშები.

Ბ-Ნ Ბ. ᲑᲔᲠᲣᲢᲡ ᲙᲠᲐᲘᲝᲕᲐ ᲠᲐᲓᲐ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲝᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲓᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ

მეგობრულად გილოცავთ პოლონეთის ნაციონალურ დღესასწაულს და რწმენას გამოვთქვამ, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობა, რომელიც ამ ომში გამოიჭედა და უკვე მოიტანა თავისი ნაყოფი, დაიჩქარებს ჰიტლერიზმზე საერთო გამარჯვებას და ჩვენი მომავალ ხალხების კეთილდღეობისა და ბედნიერების საფუძველი იქნება.

მ. კალინინი

ᲙᲠᲐᲘᲝᲕᲐ ᲠᲐᲓᲐ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲝᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲓᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ Ბ-Ნ Ბ. ᲑᲔᲠᲣᲢᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ Ბ-Ნ Ე. ᲝᲡᲣᲑᲙᲐ-ᲛᲝᲠᲐᲕᲡᲙᲘᲡ

მხურვალედ გილოცავთ პოლონეთის ნაციონალური დღესასწაულის დღეს და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ძლიერი და დამოუკიდებელი დემოკრატიული პოლონეთის აღორძინების საქმეში.

ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი ხალხების ძმურ კავშირს და გერმანელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას, რომელიც შედუღაბებულია პოლონელი და საბჭოთა მეომრების სისხლით, ახლო მომავალში შედეგად მოჰყვება პოლონეთის სრული განთავისუფლება გერმანელთა უღლისაგან.

ი. სტალინი

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ Ბ-Ნ Ე. ᲝᲡᲣᲑᲙᲐ-ᲛᲝᲠᲐᲕᲡᲙᲘᲡ

გულითადად გილოცავთ თქვენ და მთელ პოლონელ ხალხს პოლონეთის ნაციონალურ დღესასწაულს და გისურვებთ მთელი პოლონეთის მიწა-წყლის უსწრაფეს განთავისუფლებას გერმანელი დამმონებლებისაგან.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა, რომელიც საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში იშვა, დღითიდღე განმტკიცდება პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის საკეთილდღეოდ.

ვ. მოლოტოვი

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1944 წლის 11 ნოემბერს საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩებმა ა. ე. ბოგომოლოვმა, ბ-ნმა დაფ კუპერმა და ბ-ნმა კაფრიმ ერთობლივი განცხადება გაუკეთეს საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ბიდოს ომის შესახებ, რომ მათმა მთავრობებმა შეთანხმებულად გადასწყვიტეს მიიწვიონ საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, რათა მონაწილეობა მიიღოს ლონდონში არსებულ ევროპის საკონსულტაციო კომისიის მუშაობაში, როგორც ამ კომისიის მეოთხე მუდმივმა წევრმა.

სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩებმა ბ-ნ ბიდოს წინაშე რწმენა გამოსთქვეს, რომ მათი ქვეყნების წარმომადგენელთა თანამშრომლობა მათს ფრანგ კოლეგასთან ევროპის საკონსულტაციო კომისიაში კარგ შედეგებს გამოიღებს და ხელს შეუწყობს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანობის მომზადების საქმეს დემოკრატიის, წესრიგისა და სამართლიანობის საერთო ინტერესებისათვის.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ ვასილის-ძე **გორელკინი** დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად ურუგვაიში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

11 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

11 ნოემბრის განმავლობაში მდინარე ტისასა და დუნაის შუა ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის შაიო სეგედი, ნემეშ ბიკი, ხეე.სალოხტა, სიხალომი, იასლადანი, უისასი და რკინიგზის სადგურები მეზენიარადი, კლემენტინა, იასლადანი, უისასი.

ბულგარეთის ჯარებმა, რომლებიც გერმანელთა წინააღმდეგ მოქმედებენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე, დაიკავეს ქალაქები შტიპი და ველესი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

10 ნოემბერს ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლების შედეგად, დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 8 ტანკი.

* * *

უნგრეთში, მდინარე ტისასა და დუნაის შუა, ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგემ ახალი ძალები გამოიყვანა ბრძოლაში და ცდილობდა უკუქცია საბჭოთა ნაწილები, რომლებმაც გადასჭრეს ბუდაპეშტ მიშკოლცის რკინიგზა. ჰიტლერელებმა, მძიმე ზარალის მიუხედავად, არა თუ წარმატებას ვერ მიაღწიეს, არამედ კვლავ უკუგდებულ იქნენ. ჩვენმა ქვეითებმა და არტილერისტებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს რკინიგზის სადგურები მეზენიარადი და კლემენტინა. ხელთ ვიგდეთ 13 ქვემეხი, 2 საწყობი საომარ მასალიანად და ტყვედ წამოვაყვანეთ 350 გერმანელი და უნგრელი. ახლა ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძები და დიდი დასახლებული პუნქტები იასლადანი და უისასი.

ქალაქ ცეგლედის ჩრდილო-დასავლეთით გაფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი და ტანკები არაერთხელ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე და ცდილობდნენ დაებრუნებინათ წინადღით დაკარგული დასაყრდენი პუნქტები. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მათ ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ.

წითელი არმიის მხარეზე თვითმფრინავით გადმოფრინდა უნგრეთის მე-7 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ოტო ხატეი. პოლკოვნიკმა განაცხადა: „მე დიდი ხანია საბჭოთა კავშირთან ზავის მომხრე ვიყავი. ამჟამად ყველასთვის ნათელია, რომ გერმანელებმა ომი წააგეს. თუ უნგრეთი დაუყოვნებლივ არ გასწყვეტს კავშირს ჰიტლერულ გერმანიასთან, გერმანელები თან ჩაგვითრევენ უფსკრულში. მე ვეასაუბრე უნგრეთის არმიის უმაღლესი თანამდებობის ოფიცრებს და ბევრი მათგანი იზიარებს ჩემს თვალსაზრისს“.

* * *

ქალაქ პულტუსკის სამხრეთით არტილერიის და ნამსატყორცნო პოლკი სწარმოებდა. მზვერავი არტილერისტები ილეულგალოევი და კისტანოვი მოწინააღმდეგის თვდაცვის წინა კიდეს მიუახლოვდნენ, გამოარკვიეს გერმანელთა საცეცხლე წერტილების განლაგება და ეს აცნობეს საკომანდო პუნქტს. ჩვენმა ქვემეხებმა ცეცხლი დაუშინეს და მოსპეს ერთი საზენიტო და ორი სანაღმტყორცნო ბატარეა, აგრეთვე მოწინააღმდეგის რამდენიმე სატყვიამფრქვევი წერტი.

* * *

უკრაინის 1-ლ ფრონტზე მზვერავები მოქმედებდნენ. მზვერავები ჩიბირაშვილი, სვოროგსკი, კოლოდიაჟნი და მოტენკო შეიჭრნენ მოწინააღმდეგის სანგრებში, მოჰკლეს გერმანელი ოფიცერი და ეფრეიტორი და ხელთ იგდეს ძვირფასი დოკუმენტები. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა ჩვენი პოზიციებისათვის ძლიერი საარტილერიო ცეცხლის დაშენის შემდეგ მოაწყეს დაზვერვა ბრძოლით. საბრძოლო დაცვაში მყოფმა მეტყვიამფრქვეველ იაკოვლევმა ახლო მანძილზე მოუშვა გერმანელები და გაიქცა მტრის ჯარისკაცთა ჯგუფი. გერმანელებმა, რომელნიც სხვა ჩვენი მეტყვიამფრქვეველების ცეცხ

გმირი საბჭოთა ხალხი

რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც 27 წლის წინათ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს იმპერიალისტების ძალაუფლება რუსეთში და დაადგნეს თავისი ქვეყნის უდიდესი გარდაქმნის გზას, პირველი დღეებიდანვე მოუხდათ შეჯახება გერმანიის იმპერიალისტ მტაცებლებთან. გერმანელი იმპერიალისტები თავს დაესხნენ უიარაღო საბჭოთა რესპუბლიკას. მძიმე დრო იყო ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. მაგრამ უკვე იმ დღეებში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ლაპარაკობდა ძლიერ და მდიდარ რუსეთზე, რომელიც შეიქმნებოდა მიუხედავად ყველ> სიძნელისა, გაჭირვებისა და ნაკლებობისა.

„ჩვენ მოგვეპოვება მასალა, — ამბობდა ლენინი,—ბუნებრივი სიმდიდრითაც, ადამიანთა ძალების მარაგითაც, საუცხოო გასაქანითაც, რაც ხალხს შემოქმედებამ, დიდმა რევოლუციამ მისცა,—რომ შეექმნათ ნამდვილად ძლიერი და მდიდარი რუსეთი“.

თავისი ხალხისადმი ღრმა რწმენით არის ნაკარნახევი ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები. ლენინმა იცოდა თავისი ხალხის ისტორია, იცოდა, რა საქმეების უნარი შესწევს მას. ლენინის წინასწარხედვის განსაცვიფრებელი ძალა ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესულ რევოლუციურ მსოფლმხედველობას ეყრდნობოდა. ლენინის ხედვა ჰორიზონტებს იქით აღწევდა და მომავალს სწვდებოდა. უდიდესი მოაზროვნე, გენიალური მეცნიერი, იგი ხედავდა თავისი ქვეყნის გზას, იცოდა, რომ მისი ხალხი შექმნილია სიდიადისა და დიდებისათვის.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამსხვრია მონობისა და უუფლებობის ბორკილი, რომლითაც შებოჭილი იყვნენ ხალხის მასები ჩვენს ქვეყანაში. მან გამოსცალა მისცა ხალხის მასების ძალები.

უმაგალითოდ მოკლე ისტორიულ ვადებში საბჭოთა ხალხმა, რომელსაც დიდი სტალინი აღაფრთოვანებს და ხელმძღვანელობს, ჩვენი თვალწინდენილ ქვეყანა, რომელიც ტექნიკურ-ეკონომიურად საუკუნით ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, გადაქცია მოწინავე, ძლიერ, მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოდ. დიდი ოქტომბრის 27-ე წლისთავზე ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო ცივილიზებული მსოფლიოს ავანგარდში მდგომი შეეგება. იგი ავანგარდში უდგას თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გიგანტურ ბრძოლას ფაშისტური ბარბაროსობისა და ბნელეთისმოციქულობის წინააღმდეგ. მან საკმაო სულიერი და ფიზიკური ძალები ჰპოვა, რომ არათუ გამკლავებოდა ჰიტლერული გერმანიისა და მისი თანამონაწილეების შემოტევას, არამედ პირისპირ ბრძოლაში კიდეც გასანდგურებინა მტრის ძალები, უკუეცია ისინი და ამით ეხსნა ევროპის ცივილიზაცია XX საუკუნის ჰუნების შემოსევისაგან.

„ახლა, როდესაც სამამულო ომი ძლევამოსილი დასასრულისაკენ მიდის, მთელი სიდიადით იჩენს თავს საბჭოთა ხალხის ისტორიული როლი. ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშიზტ დამრბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე“. (ი. სტალინი).

ნიამაყის კანონიერი გრძნობით ლაპარაკობს ჩვენს ხალხზე, კაცობრიობის ისტორიის წინაშე საბჭოთა ხალხის დიდ დამსახურებაზე მისი გენიალური ბელადი და მხედართმთავარი. იგი ჩვენს ხალხს გმირ ხალხს უწოდებს. სტალინის მოხსენებაში მოცემულია მკაფიო სურათი იმ გამარჯვებებისა, რომლებიც მოიპოვა გმირმა ხალხმა ომში, როგორიც ისტორიას არ ახსოვს. დიადია ჩვენი ხალხის როლი ამ ომში, სახელოვანია ჩვენი ხალხის მისია. და ჩვენ ყველანი, საბჭოთა ადამიანები, უალრესად აღფრთოვანებულნი ვართ საყოველთაო-სახალხო საგმირო საქმის ისტორიული სტალინური შეფასებით. სტალინი ჩვენი ხალხის სიბრძნე, მისი სინდისი, მისი გენიაა. მის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს ისტორიის უმთავრესი ფურცლები. იგი პირველი მშრომელია ჩვენს სახელმწიფოში. იგი სამამულო ომის პირველი მეომარია. იგი სათავეში უდგას გმირი ხალხის შრომასა და საგმირო საქმეებს.

ამხანაგ სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის 27-ე წლისთავის შესახებ ჩვენი დიადი დროის საუცხოო ეპოპეაა. ამ მოხსენებაში მთელი სიდიადით წარმოსდგა ჩვენი ხალხი — ისტორიის შემოქმედი მოხსენება ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის საქმეებზე, მის გმირობაზე ზურგში და ფრონტზე. გმირობა მასობრივი მოვლენა გახდა ჩვენს ქვეყანაში. მისი წყაროა სოციალისტური წყობილება. ამ წყობილებამ მისცა ჩვენს ხალხსა და მის არმიას დიდი და უძლეველი ძალა. ეყრდნობოდნენ რა სოციალისტურ წყობილებას, მის მძლავრ ეკონომიკას, მის გეგმიან მეურნეობას, მის პირველხარისხოვან ტექნიკას, მის მოწინავე კულტურას, საბჭოთა ადამიანებმა ეკუღნმიური გამარჯვება მოიპოვეს ჰიტლერულ გერმანიასთან და მის თანამონაწილეებთან ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი ჰიტლერულ გერმანიაზე უფრო ძლიერი გამოდგა. ფაშისტური სახელმწიფო ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოზე სუსტი აღმოჩნდა. მტრის მძლავრი არმიები დაამარცხა წითელმა არმიამ ბრძოლის ველებზე. მტრის მრეწველობამ ვერ გაუძლო ჩვენს სოციალისტურ ინდუსტრიასთან ბრძოლას. ჩვენმა ქარხნებმა და ფაბრიკებმა, ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ჩვენმა ტრანსპორტმა, ჩვენმა საბრძოლო ტექნიკამ, ჩვენმა მეცნიერულმა და ტექნიკურმა აზრმა გაიმარჯვეს ჰიტლერულ გერმანიასთან შეტაკებაში, აჯობეს მის ძალებსა და შესაძლებლობებს. საბჭოთა სახელმწიფომ დიდსულოვან გადაბანა ყველაზე მძიმე განსაცდელი—ომის განსაცდელი. საბჭოთა ხალხი იმკის იმ ტიტანური შრომისა და შემოქმედების ნაყოფს, რომლითაც აღნიშნულია მისი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 27 წელი.

„დიდი დღესასწაული გვაქვს. გული ძლიერ ხარობს—აცხადებს საბჭოთა მეომარი, დიდების ორი ორდენის კავალერი ამხ. ვ. მიხიენკო.—შეხედეთ,—მთელი საბჭოთა მიწა-წყალი გაწმენდილია გერმანული ჭირისაგან! ჩვენმა ხალხმა სამუდამოდ მოიშორა გერმანელთა უღელი, და არმიამ გადალახა საზღვარი, იგი გერმანელს მისსავე მიწა-წყალზე ანადგურებს. მინდა ვთქვა, რომ მე, რუსი ჯარისკაცი, მეთვითმავლე-არტელერისტი, რომელიც სამ წელიწადზე მეტხანს წინა კიდეზე ვიმყოფები, თავს ბედნიერად ვგრძნობ. ჩემი ბედნიერება ის არის, რომ ერთ-ერთ პირველს მხედა წოლად საბჭოთა თვითმავალი ქვემეხებით შევასულიყავი საძულველ გერმანიაში. და თუმცა ოთხჯერ ვარ დაჭრილი, თუმცა ცოცხალი აღარა მყავს ძმა და ბევრი მეგობარი, თუმცა დედაჩემმა სმოლენსკჩინაში ბევრი გაჭირვება გადაიტანა გერმანელების დროს, და ახლა ოჯახს არაფერი აღარ აბადია,—მაინც ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ მკაცრი და სამართლიანი სასჯელი მიმაქვს წყეული გერმანელისათვის“.

საბჭოთა მეომრის ეს უბრალო სიტყვები მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმზე მეტყველებენ. უსაზღვროა საბჭოთა ადამიანის სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, საბჭოთა სახელმწიფოსადმი. ამ სიყვარულს მიჰყავდა და მიჰყავს წითელარმიელი ბრძოლაში. ეს სიყვარული უკარნახებს მუშას მთელი თავისი ძალები მოახმაროს გამარჯვების საქმეს. ეს სიყვარული აღფრთოვანებს საბჭოთა ინტელიგენტს მის ნოვატორობაში. — ეს სიყვარული განსაზღვრავს საბჭოთა გლების თავდადებულ შრომას. სოციალისტური სამშობლოს სიყვარულმა საბჭოთა ქალები, ჭაბუკები და ქალაქვლები შრომის გმირებად გახადა, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მამები, ქმრები, ვაჟიშვილები, უფროსი ძმები რომ შესცვალეს.

ჩვენ ვიმარჯვეთ ომში და საბოლოოდ გავიმარჯვებთ ჩვენი ხალხის ღრმა მოქალაქეობრივი თვითშეგნებით. ომმა მთელი სიდიადით დაგვანახვა საბჭოთა ხალხის ზნეობრივი და მორალური ძალა. საბჭოთა სამშობლოს გულისათვის ხალხი შეგნებულად იტანდა სერიოზულ მატერიალურ გასაჭირს, იკლებდა ბევრ აუცილებელ რამეს და ყველა სიძნელე დასძლია. როგორც მუშა ქალი ქარხანაში, როგორც ინტელიგენტი ქალი ლაბორატორიაში, ისევე კოლმეურნე ქალი ფრონტზე, სამშობლოზე, გმარჯვებაზე ფიქრით ცოცხლობს.

მგზნებარე და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი ზურგში საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობისა და ფრონტზე ჩვენი მეომრების უჭკნობი საბრძოლო გმირობის წყაროა.

ჩვენ ვამარცხებთ და დავამარცხებთ მტერს ჩვენი ხალხის მსოფლმხედველობის უპირატესობით. ჩვენი პატრიოტიზმი შეურიგებლად მტრულია იმ მხეცური, კაცთმოძულე ნაციონალიზმისა, რომელიც ჩვენი მტრის იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი პატრიოტიზმი საბჭოთა, სოციალისტური პატრიოტიზმია. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის ჰუმანიური იდეები გამატონებული იდეები გახდნენ ჩვენს ქვეყანაში. ბავშვობიდანვე საბჭოთა ადამიანი სხვა ხალხთა უფლებებისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის სულისკვეთებით იზრდება. ხალხთა მეგობრობა საბჭოთა სახოგადოების საძირკველი გახდა. დიდი რუსეთის გარშემო ათობით ხალხი დაირაზმა. მათი ძმური კავშირი მტერზე ჩვენი უპირატესობის, ჩვენი ძლიერების წყაროა. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერელთა მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე.

27 წლის წინათ ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები ლენინ-სტალინის პარტიის მოწოდებით შეუდგნენ ახალი, საბჭოთა სახოგადოების შენებას, შეუდგნენ ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობის შექმნას. მათ დაამარცხეს თავიანთი შინაგანი მტრები—იმპერიალისტები. მათ დაიცვეს თავიანთი სახელმწიფო უცხოელ დამპყრობთა გაფფრებული ერიშებისაგან. მათ გადალახეს ყველა გაჭირვება და სიძნელე და მთელ მსოფლიოს თვალნათლივ დაუმტკიცეს თავიანთი უნარი—მართონ სახელმწიფო, მოაწყონ მეურნეობა, წინ წასწიონ თავისი ქვეყანა და მსოფლიო ცივილიზაციის საქმე. ამქამად საბჭოთა ადამიანებმა დაგვანახვეს, თუ რაოდენ შესწევთ მათ უნარი დაიცვან თავიანთი საბჭოთა საქმე და მთელი კაცობრიობის საქმე ფაშიზმთან ბრძოლის გზებზე.

„ახლანდელი ომის უმაგალითო სიძნელეებმა კი ვერ გასტეხეს, არამედ კიდევ უფრო გამოაწრთვეს საბჭოთა ხალხის რკინისებური ნებისყოფა და მამაცური სულისკვეთება. ჩვენმა ხალხმა სამართლიანად მოიხვეჭა გმირი ხალხის სახელი“. (ი. სტალინი).

ასეთი ხალხი ღირსია დიადი გამარჯვებისა!

„პრავდის“ 11 ნოემბრის მოწინავე

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„არაღამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ თესლის და მზრალად ხვნას“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 22 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. მირიანაშვილი გვატყობინებს: კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიუროს განიხილა თესლისა და ხვნის მომდინარეობის საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ბიურომ ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით დააწესა ხვნა-თესვის ყოველდღიური და ხუთდღიური დავალებანი და სათანადო შესწორება შეიტანა მიწვანის მიერ შედგენილ გეგმაში.

კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბრის“ 40 ჰექტარი მიწის ცუდად დათესვისათვის კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. სულაშვილი მიცემულია პასუხისგებაში. შირაქის მტს-ის დირექტორს ამხ. კაჭარავას და წითელწყაროს მტს-ის დირექტორს ამხ. ბიწაძეს დაევალათ უზრუნველყონ ტრაქტორების შეუფერხებელი მუშაობა. ტრაქტორის უმიზეზოდ გაცდენისა და ხვნა-თესვის სამუშაოს ცუდად შესრულებისათვის წითელწყაროს მტს-ის ტრაქტორისტი გონაშვილი მიცემულია პასუხისგებაში.

თუ წარსულ ხუთდღიურებში რაიონის კოლმეურნეობებში ხვნა-თესვაზე მუშაობდა 180-200 გუთნეული, ამჟამად მუშაობს 800 გუთნეული. გაძლიერდა თესვის ტემპები. მაგალითად, ოქტომბრის მეექვსე ხუთდღიურში რაიონში დაითესა 3,800 ჰექტარი. 25 ოქტომბრისათვის თესვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 47 პროცენტით, პირველ ნოემბრისათვის კი — 65 პროცენტით. გაძლიერდა მინდვრის თაგვთან ბრძოლა. ქიმიური მეთოდით დამუშავებულია 18,102 ჰექტარი, ნაცვლად 6,276 ჰექტარისა.

რაც შეეხება კორესპონდენციაში აღძრულ საკითხს „გაბერილი შტატის და მოუწესრიგებელი აღრიცხვის“ შესახებ, პარტრაიკომის ბიურომ დაავალა რაიმიწვანს საფუძვლიანად შეისწავლოს შრომის ორგანიზაციისა და ანგარიშწარმოების საკითხები სოფელ ზემო ქედის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობებში. ამ საკითხს სპეციალურად განიხილავს რაიკომის ბიურო.

ᲬᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲨᲐᲮᲬᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲬᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ

შეჯამებულია საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ორი რაიონის ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეთა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის მეშახტეებმა (ტრესტის მმართველი ამხ. ვარდიშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. ჯვებენავა, ტრესტის მთავარი ინჟინერი ამხ. კოშელევი, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. სოფრომაძე) ოქტომბრის საწარმოო დავალებები შეასრულეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ქვანახშირის ამოღების თვიური დავალება შესრულებულია 100,6 პროცენტით, ქვანახშირის მონგრევაში წინსვლის გეგმა 104,3 პროცენტით.

ოქტომბერში ქვანახშირის მოპოვების გეგმები შეასრულეს ლენინის სახელობის შახტამ (უფროსი ამხ. კვინხიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ოსესელიანი, მთავარი ინჟინერი ამხ. ჯლიმაძე) — 100,1 პროცენტით, სტალინის სახელობის შახტამ (უფროსი ამხ. რატიანი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. სადუნიშვილი, მთავარი ინჟინერი ამხ. წამალაშვილი) — 100,4 პროცენტით და გელათის შახტამ (უფროსი ამხ. ლებანიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. კობახიძე, მთავარი ინჟინერი ამხ. ზირაქაძე) — 103,9 პროცენტით.

ოქტომბრის საწარმოო დავალებები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს იმ უბნებმა, სადაც უფროსებად არიან ამხ. ჯაშაკიძე, ფანჩულიძე, შოთაძე, გაბრიაძე და გვენტაძე. საწარმოო დავალებათა შესრულებაში სახელი გაითქვეს სტახანოველებმა—თოდიძემ, გოჩელაშვილმა, ბოჭორიშვილმა, ცხადაძემ, ივანინენკომ და სხვ.

კარგად მუშაობენ ტყიბულელი მეშახტიები ნოემბერშიც. მათ შეინარჩუნეს საოქტომბრო შეჯიბრების ტემპები და წარმატებით განაგრძობენ ქვანახშირის სადღეღამისო დავალებათა შესრულებას.

ტყიბულელებს ბევრად ჩამორჩნენ ტყვარჩელელები. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა (მმართველი ამხ. გარდაფხაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ჩაგუნავა, ტრესტის მთავარი ინჟინერი ამხ. ლაბახუა, სტალინის სახელობის შახტის უფროსი ამხ. როსნაძე, საშახტო პარტორგანიზაციის მდივანი ცაავა) ქვანახშირის ამოღების ოქტომბრის გეგმა ტრესტმა შეასრულა 62,3 პროცენტით, ხოლო ქვანახშირის მონგრევაში წინსვლის გეგმა — 54,4 პროცენტით.

ოქტომბერში გეგმა არ შეუსრულებია სტალინის სახელობის შახტის არც ერთ უბანს, ხოლო ისეთ მეშახტეთა რიცხვი, რომლებმაც გეგმა 100 პროცენტზე მეტად შეასრულეს, 173 კაცს უდრის. ქვანახშირის ამოღების გეგმის შეუსრულებლობა ტყვარჩელში აიხსნება იმ გარემოებით, რომ აქ სისტემატურად არ ასრულებენ მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმას და არ ჰქმნიან ახალ სამუშაოთა ფრონტს. ამჟამადაც ტრესტის ხელმძღვანელობა საკმაო ყურადღებას არ აქცევს მოსამზადებელ სამუშაოთა გაშლას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ტრესტისა და სტალინის სახელობის შახტის ხელმძღვანელებს შორის არის მცდარი და არაჯანსაღი გაწყობილება, თითქოს № 1 გვირაბში ქვანახშირის გამოღების შემდგომი გადიდება შეუძლებელია. ნამდვილად კი № 1 გვირაბში ქვანახშირის მარაგი დიდია. საჭიროა მხოლოდ მუშაობის მოწყობა, სამუშაო ფრონტის გახსნა, რისთვისაც ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელობას ყველა პირობა გააჩნია.

ამგვარად, ტყვარჩელელებთან საოქტომბრო შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს ტყიბულელმა მეშახტეებმა, რომლებმაც უკანასკნელ ორ თვეში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კარგი შეფასება მიიღეს. მაგრამ ეს მათ უფლებას არ აძლევს დამშვიდებას მიეცნენ. ტყიბულელებს მართებთ განვლილ თვეებში გეგმების შეუსრულებლობის შედეგად დაგროვილი ვალი, რაც მათ უნდა აანაზღაურონ ნოემბერსა და დეკემბერში.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ძირფესვიანად გაანმჯობესონ თავიანთი მუშაობა და მიიღონ ყველა ზომა გეგმის შესასრულებლად.

დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** 1944 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ ტყიბულელმა და ტყვარჩელელმა მეშახტეებმა ახალი ძალით უნდა გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება და საწარმოო მიღწევებით შეხვდნენ მომავალ 1945 წელს.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მეოთხე კონფერენცია

10 ნოემბერს ბლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მეოთხე კონფერენცია.

სანგარიშო მოხსენება გააკეთა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ცირეკიძემ.

ომის დღეებში პარტიული ორგანიზაცია წარმართავს ქარხნის კოლექტივს სახელმწიფო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მიღწეული წარმატების გამო წელს ქარხანამ ორჯერ მიიღო გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. შრომის უკეთ მოწყობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ქარხანამ საწარმოო გეგმების გადაჭარბებისათან ერთად მოზოგა დიდძალი ნედლეული, სათბობი და მასალები. კიდევ უფრო განმტკიცდა პარტიული ორგანიზაციის კავშირი მასებთან. ქარხნის ბოლშევიკები დიდ ყურადღებას უთმობენ პარტიულ-პოლიტიკურ და მასობრივ-აღმზრდელობითს მუშაობას საამქროებსა და ბრიგადებში, რის შედეგადაც გაიზარდა მოწინავე ადამიანთა ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ. სანგარიშო პერიოდში საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად მიღებულია 49 კაცი, ხოლო კანდიდატად 66 კაცი.

კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა პარტიული მუშაობის ნაკლოვანებანი ქარხანაში. იმის შედეგად, რომ ზოგი საამქროს პარტიული ორგანიზაცია ღრმად არ სწვდებოდა საწარმოო საკითხებს და სუსტად ახორციელებდა ადმინისტრაციის მოქმედებისადმი კონტროლის უფლებას, ხშირად ირღვეოდა ტექნოლოგიური პროცესი, ირღვეოდა შრომის დისციპლინა. ათი თვის განმავლობაში ქარხანაში აღრიცხულია შრომის დისციპლინის დარღვევის მრავალი შემთხვევა.

ბოლო ხანებამდე მოუგვარებელი იყო შესრულების შემოწმება, რის გამოც ბევრი მეტად მნიშვნელოვანი პარტიული ღონისძიება განუხორციელებელი რჩებოდა. მექანიკური, ელექტრო და საინსტრუმენტო საამქროებში გაშლილი არ არის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა. პარტიული კომიტეტი და საამქროთა პარტიული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობდნენ ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციას.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: გ. მაისურაძე, შ. თევზაძე, გ. დათუაშვილი, გ. სარალიძე, ვ. გოცირიძე, ს. მელიქ-ფაშაევი, გ. დაშნიევი, გ. ბაქრაძე, ერანოსოვი, დ. ჭიჭინაძე.

— ინსტრუმენტებით და დამზმარე მასალებით მოუმარაგებლობის გამო, — განაცხადა ამხ. თევზაძემ,—საამქროში ნორმებს ვერ ასრულებს სანარდო სისტემაზე გადასული 45 კაცი. ხოლო საამქროს პარტიულ ორგანიზაციას არსებითად ამ მხრივ დღემდე არა გაუკეთებია რა.

— წარმოების ზოგიერთი მეთაური—ჩვენი ინჟინრები და ტექნიკოსები, — განაცხადა კომუნისტმა ინჟინერმა ამხ. მელიქ-ფაშაევმა,—დროის უქონლობას იმიზეზებენ და საკუთარი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად არა საკმაოდ მუშაობენ. საამქროთა პარტიული ორგანიზაციები და თვით პარტიული კომიტეტიც არ უწევს მათ სათანადო კონტროლსა და დახმარებას.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ელენი.

— ქარხნის კოლექტივმა, — ამბობს ამხ. ელენი,—ბოლო ხანებში უეჭველად გაუმჯობესა მუშაობა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელი რიგ ნაკლოვანებებს: არის წუნდებული პროდუქციის გამოშვების შემთხვევები, კომუნისტებმა ნაკლებად ზრუნავენ სამუშაო ადგილის წინასწარ მომზადებისათვის, სტახანოვური მუშაობის მეთოდების დანერგვისათვის. საამქროებში ფეხი მოიკიდა იერიშობანას მავნე ტრადიციამ, ირღვევა გრაფიკი. ტექნოლოგიური დისციპლინა. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციამ სასწრაფოდ გამოასწოროს ეს ნაკლოვანებანი.

კონფერენციამ პარტიული კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და შემდგომი მუშაობისათვის დასახა ღონისძიებანი.

კონფერენციამ დახურული (ფარული) კენჭისყრით აირჩია პარტიული კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით. პარტიული კომიტეტის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. დ. ზ. ცირეკიძე, მდივნის პირველ მოადგილედ—ვ. გ. ჩლაიძე, მეორე მოადგილედ — ი. ხ. მგელაძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. მ. ეშხანოვმა.

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

საზღვარგარეთის გამოხმაურება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. სტალინის მოხსენების გამო

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკული პრესა კვლავ გაცხოველებით უკეთებს კომენტარს ამხანაგ სტალინის მიერ მოსკოვის საბჭოს სხვიმო სხდომაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის გამო გაკეთებულ მოხსენებას.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ მოწინავე სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „რუსეთის წვლილი“, აცხადებს, რომ სტალინის მოხსენება წარმოადგენს „ახალ დიდ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც განამტკიცებს მშვიდობიანი და გონივრული მსოფლიო წესრიგის ზრდად შენობას“.

„27 წლის შემდეგ მას უკან, რაც ბოლშევიკებმა ხელში აიღეს ძალაუფლება მეფის დანგრეულ რუსეთში,—ნათქვამია სტატიაში,—წარმოიშვა დიდი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია ილაპარაკოს და იმოქმედოს მსოფლიო ასპარეზზე არა მარტო მტაცეცრწმენით, არამედ თავისი როგორც დიდი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეგნებითაც. საბჭოთა კავშირი მტაცეედ ემსახურება საყოველთაო მშვიდობიანობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფის საქმეს“.

გაზეთი „ჩიკაგო სანი“ მხურვალედ მიესალმება ამხანაგ სტალინის მოხსენებას და უწოდებს მას „კოლექტიური უშიშროებისაკენ ეფექტიან მოწოდებას“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ვაშინგტონის სამხედრო წრეებში აღტაცებით შეხვდნენ სტალინის მოხსენების დასკვნითს ნაწილს, რომელშიც იგი კვლავ აცხადებს, რომ ფაშისტური არმია თავის დასაღლეთელ მოკავშირეებთან ერთად ამჟამად დგას უკანასკნელი ამოცანის წინაშე—საბოლოოდ გაანადგურის მხეცი მის საკუთარ ბუნაგში. დიპლომატიურ წრეებში, სწერს შემდეგ კორესპონდენტი, მოწონებით უკეთებენ კომენტარს სტალინის მოხსენებას, განსაკუთრებით მის შეინშვნებს დუმბარტონ-ოქსის კონფერენციის შესახებ.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ სწერს, რომ სტალინის მოხსენება „მხნეობას გვინერგავს... სტალინმა ნათლად განაცხადა, რომ მას თეირანში მიღწეული ერთიანობის შენარჩუნება ფრიად საჭიროდ მიაჩნია ომისშემდგომი პერიოდისათვის“.

რადიოკომენტატორი სტილი აცხადებს, რომ სტალინის მოხსენება, შეიძლება, ყველაზე „დიდმნიშვნელოვანი იყოს მთელ მის მოხსენებათაგან, ვინაიდან მან მგზნებარედ მოუწოდა გაერთიანებულ ერთა“ განსაკუთრებული შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნისაკენ მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად. სტალინმა სავსებით ზუსტად აღნიშნა, თუ რა მსოფლიო ორგანიზაცია უნდა შეიქმნას.

„საერთოდ რომ ითქვას,—აცხადებს სტილი,—მისი სიტყვა—რუსული პოლიტიკის ფართო დეკლარაციაა იმ საფუძვლის თაობაზე, რომელზეც საბჭოთა კავშირს სურს ითანამშრომლოს სხვა ქვეყნებთან. რუსები თავიანთი სამხედრო შლეგრების მწვერვალზე მეგობრობას სთავაზობენ მოკავშირეთ. ეს დიდი ბედნიერების მომასწავებელია საყოველთაო მშვიდობიანობისათვის“.

ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲨᲝᲠᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლონდონი, 10 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა 10 ნოემბერს პირველი ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ გერმანელები შორმოქმედ რაკეტებს იყენებენ ინგლისის წინააღმდეგ. ჩერჩილმა სთქვა:

„რაკეტები დაახლოებით იმავე რაოდენობის ფეთქებად ნივთიერებას შეიცავენ, რამდენსაც თვითმფრინავ-ყუმბარები. მაგრამ რაკეტები ისეა აგებული, რომ მათი ხვრეტითი ძალა აფეთქების მომენტამდე მეტია. ეს იწვევს რამდენადმე უფრო მეტ ნგრევას; უშუალოდ ნაყუმბარივის ახლოს და, შეიძლება ითქვას, აფეთქების ტალღის უფრო ნაკლები ძალის მოქმედებას ზის ირგვლივ. რაკეტი აღწევს სტრატოსფეროს 60-70 მილამდე და უფრო ჩქარა მოძრაობს, ვიდრე ხმა ვრცელდება. ამ რაკეტის ფრენის განსაკუთრებით დიდი სიჩქარის გამო ახლანდელ პირობებში შეუძლებელია უზრუნველყოფილ

მეუღლე ანა, შვილები ვენერა, ბაბულია, სიძეები შალვა ბაკურაძე, დავით ჩხოლარია, შვილიშვილები იუწყებიან **პარმენ კიბორძალიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14/XI, 5 ს. II ირიბის, 31.

თამარ და დესპინე ნატროშვილები იუწყებიან ბიძის **სიმონ თევდორეს-ძე ნატროშვილის** გარდაცვალებას

მეუღლე ოლია, შვილები ნათელა, ნაზია იუწყებიან, რომ 12/XI დანიშნულია ექიმ **ირაკლი ტროფიმეს-ძე** დოლიძის პანაშვიდი.

დედა ელისაბედ გრიგოლია შვილებით, რძლებით, სიძეებით, შვილიშვილებით იუწყება **სონია ერისტოს-ასულ გრიგოლიას** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემსაროების და სახკრედიტის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **ივანე კიზირი